ცნობის ფურცელი

№ 1796 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ხუთშაბათი, 2 მაისი № 1796

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

შაბათს, 4 მაისს,

ადამ გრიგოლის ძის ფარანგოზოვის

გარდაცვალების წლის თავზე, წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში დუშეთში გარდახდილ იქმნება **წირვა** და **პანაშვიდი** განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც მისი ქვრივი და შვილები ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ. (3—3)

ყოველ-დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ მაისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **4** მან. და **50** კაპ.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—29)

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24. **ტელეფონი № 642.**

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- **ტელეფონი № 274.** (წლ.))

ქართული თეატრი

შაბათს, 4 მაისს 1902 წელს

ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა და სცენის მოყვარეთა მიერ

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

პირველად განახლების შემდეგ

I.

ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქმედ. კარეევისა, თარგ. ზ. ჩიკვაიძისა.

II.

ბედნიერი ცოლ-ქმარი

ვოდევ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, გარგარეთელი, გვიშვილი, კავთელი, სარიძე და სხ.

ბ.ბ. ვლ. მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმერიძე, იმედაშვილი, ივანიძე და სხანი.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

მზადდება „სამზობლო“.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმიოს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ქუთაისის გუბერნიის **მევენახე-მეღვინეთა პირველ ამხანაგობის** წლიური საზოგადო კრება გადიდება კვირას, ხუთ მაისის, დილის ათი საათისათვის.

(ნ.6—4) **ნ. წერეთელი**

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან ხელით ნახატებიდან.

ხელოვნების გამარჯვება

ხელოვნება—აღფრთოვანებაა, თავისის თავის დავიწყება, სხვისა სიხარულით და მწუხარებით გატაცებაა. ხელოვნური სურათი ის არის, რომელიც მაყურებელს გრძნობას უღვიძებს, აღელვებს, ავიწყებინებს ცხოვრების ერთგვარობას. ხელოვნური მუსიკა ის არის, რომელიც კაცს აღფრთოვანებს, მის პიროვნულ ნება-სურვილს უარ-ჰყოფს და აშფოთებით ავსებს კაცის გულს. ხელოვნური თეატრი ის არის, სადაც კაცი სხვისა სიხარულით, მწუხარებით, გაჭირვებით და ტანჯვით არის გატაცებული, სადაც სცენაზე თამაშობის ზედ-გავლენით, გავიწყდებათ ის სავარძელი, რომელზედაც ზიხართ, ის უსიამოვნება, რომელიც შინ გქონდა თეატრში წასვლამდე. ხელოვნური თეატრი კაცს უანგარო სიამოვნებას, უსახავს რადგან უანგარო სიხარული იქ იკეთებს ფესვებს, სადაც ადამიანის ადამიანისადმი თანაგრძნობაა, სადაც კაცის პიროვნების ირგვლივ შემოვლებული გალავანი ჩანგრეულა და კაცი, სხვებთან ერთად, ერთის ფიქრით, ერთის აზრით, ერთის მისწრაფებით, მწუხარებით და სიხარულით არის გამსჭვალული.

ასე რომ, ნამდვილი ხელოვნება, აღფრთოვანებასთან ერთად, ადამიანის ვინაობის გაფართოვებაა, მის გულში თანაგრძნობის სურვილის გაღვიძებაა და სწორედ ამაში იმალება საზოგადოებრივი ღრმა მნიშვნელობა ხელოვნებისა.

წუხელის ქართულ თეატრში, ვლ. მესხიშვილის წყალობით, ყველანი იქ მყოფნი მივხვდით და ვიგრძენით, რა არის ხელოვნური თეატრი და რა მნიშვნელობა აქვს სცენაზე ხელოვნურად თამაშობას. ვლ. მესხიშვილი რასპლუევის როლში განხორციელებული საცოდაობა ჲ უბედურებაა. ჩვენს წინ გახუნებულ სერთუკში, გახეხილ ცილინდრში გამოწყობილი, არყისაგან ცხვირ-დალურჯებული და ცემა-ტყეპისაგან გვერდებ-ჩალეწილი, მხდალი, პიროვნებას მოკლებული, ჩაქოლილი ადამიანის მსგავსი კაცი იდგა. ეს საცოდავი კაცი, სხვა გაიძვერა კაცის ყურ-მოჭრილი მონაა. გაიძვერა კაცი ყოველ სისაძაგლეს აკეთებინებს. პატარა კაცი ურჩობას ვერ უცხადებს, არც შნო აქვს ამისი, არც გაბედვა. გაიძვერა კაცის მუშტები კარგად აქვს გამოცდილი. საცოდავ რასპლუევს იმოდენას უბრაგუნებენ, გვერდები ისე აქვს ცემა-ტყეპისაგან დაზელილი, რომ იმის ტანზე ერთი ცოცხალი, საღი ადგილი რა არის, ისიც კი არა აქვს. გაგზავნის ხოლმე იმისი ბატონი, კრეჩინსკი, ქაღალდის სათამაშოდ და ეტყვის, ფული თუ არ მოიტანე, ცოცხალი არ გადამირჩებიო და თანაც საკმაოდ ერთ მუჯლუგუნსაც უთავაზებს ხოლმე. ხან-და-ხან ამ საცოდავ კაცს პირდაპირ საქურდლადაც ჰგზავნის.

რასპლუევი ასრულებდა თავის მბრძანებლის ყოველ განკარგულებას. სამაგიეროდ შიმშილისაგან არა კვდებოდა. მარტო რომ ყოფილიყო კი—უთუოდ მოკვდებოდა შიმშილით, რადგან არც მუშაობის, არც ავაზაკობის შნო და უნარი არა ჰქონდა. ვლ. მესხიშვილმა დაგვანახვა იმგვარი კაცი, რომელიც, მიუხედავად თავის არარაობისა, ზნეობა-დაცემისა, რაღაც სიბრალულს უღვიძებდა მაყურებლის გულში. ჩვენ ვხედავდით ადამიანს, რომელშიაც მოკლული იყო პიროვნება. ეს ადამიანი თავის გაიძვერა ბატონის უსუფთაო და უზნეობო სიხარულით სცოცხლობდა, ბედნიერი და კმაყოფილი იყო, როდესაც ნაქურდ ფულებს ათვლევინებდნენ და როდესაც შემთხვევა ეძლეოდა გაავთრებულა მადა და სიმშილი მოეკლა.

ორი სცენა მესხიშვილის თამაშობაში ხელოვნების მხრივ შეუდარებელი იყო. ერთი ის, როდესაც ჯიბე-ცარიელი რასპლუევი თავის ბატონის მონდობილებით, ას-ას მანეთიანებს სთვლიდა. სიხარულით დორბლებსა აფრქვევდა, თვალები უბრწყინავდნენ, სახე ელიმებოდა. ტუჩებზე ნაზი სიტყვები ადგებოდნენ: „ჩემო კარგებო, ჩემო ბატონებო, ჩემო ფუფალებო“—ელერსებოდა წითელ-ყვითელ ფულებს რასპლუევი, რომელსაც თავის-დღეში ორ-აბაზის მეტი არა დაუთვლია-რა. მეორე, თითქმის მიმიკური, ჩაი სმის სცენა ნამდვილი ხელოვნური შედევრი იყო. დამშეული რასპლუევი, რომელსაც სტუმარი ლაპარაკით უნდა გაერთო, შემოიტანეს თუ არა ჩაი, სიხარბით და საჩქაროდ დაავლებს ჭიქას, მუჭით მოხვეტს სუხრებს, დაილაგებს გვერდით და ისეთის გაუმაძღრობით ითუთქავს პირს ცხელის ჩაით და იტენს სუხრებს, თითქოს ორი თვე არა უჭამია-რა. ჩაის სმის დროს ჩვენ ვნახეთ პირუტყულის სურვილით გატაცებული ადამიანი. როგორც დამშეული, ნაცემი ძაღლი მივარდება ხოლმე გამოხრილ ძვალს და ერთის სურვილით გაიმსჭვალება ხოლმე, როგორმე მადა მოიკლას, ისე რასპლუევსაც ჩაის სმის დროს ყველა დაავიწყდა, გარდა იმ ხორციელ სიამოვნებისა, რომელსაც ჰგრძნობს ხოლმე ჭამის დროს მშიერ-მწყურვალე და დიდი ხნის უჭმელი ადამიანი.

ვლ. მესხიშვილმა, თავის გონიერის და ზომიერის თამაშით, შეუდარებელის მიმიკით, მკაფიო გამოთქმით და თავისუფალ მიხვრა-მოხვრით დაგვავიწყებინა ჩვენი თავი, გაგვიტაცა, ჩაგვახედვინა საცოდავ კაცის ბნელ გულში, დაგვანახვა ადამიანის პიროვნების დაცემა, მხოლოდ ამასთან რაღაც სიბრალულიც აღძრა ჩვენს გულში. გვეცინებოდა კიდევაც და გვენანებოდა უბადრუკი კაცი, რომელსაც ყველამ, თავის თქმისა არ იყოს, ზედ ისე უბრახუნებდნენ, თითქოს დოლი და ბარაბანი იყო. ყოველი მაყურებელი სწორედ ამ თანაგრძნობის აღძრისათვის ემადლიერებოდა არტისტს. სადაც სიცილს თანზდევს სიბრალული, იქ სიცილს აზრი ეძლევა. ამგვარი სიცილი არა ღლის ადამიანს და სიცილის შემდეგ გულში უკმაყოფილება აღარ რჩება. ჩვენ ყველანი ვიცინეთ, მხოლოდ ეს ჩვენი სიცილი ბოროტი, უაზრო სიცილი არ იყო. და ხელოვნების გამარჯვება სწორედ იქ არის, სადაც წარმტაც და გადამდებ სიცილსა და ცრემლს აზრი ეძლევა.

არჩილ ჯორჯაძე.

დღიური

III

1 მაისი

ტფილისში ქართველები და სომხები ერთმანეთს ექიშპებიან; ბაქოში სომხები და თათრები ერთმანეთში ვერ მორიგებულან; კავკასიაში არიან ქართველები და სომხები, სომხები და ქართველები, ნუ თუ არ არიან ქართველები სომხები და თათრები? არის უთანხმოება და ბრძოლა,—ნუ თუ არ არის ერთობა და თანხმობა?

დროა, ვიფიქროთ ამაზედ!

ჩვენ ძმები ვართ. მე აქ სახეში არა მაქვს ჩვენის მატიანეს გადმოცემა თარგამოსის შესახებ, არც ბ. მარრის მოსაზრება ქართველთა და წინანდელ არა-არიელ სომეხთა ნათესაობის შესახებ. შეიძლება დამტკიცდეს პირველიც და მეორეც, შეიძლება—არა. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს დღევანდელის ცხოვრებისათვის. ჩვენს ძმობას ჰქმნის არა ფიზიკური ჩამომავლობა, არამედ ისტორიული, არა ერთი სისხლი, არამედ ერთი ინტერესი, ინტერესი არა რომელისამე სავაჭრო სახლისა, არამედ ინტერესი ადამიანის სრულის განვითარების შექმნისა!..

ჩვენ და სომხები ერთად ვცხოვრობთ, ერთად ცხოვრება ჰქმნის საერთო ინტერესებს. საერთო ინტერესები—ერთობას მოქალაქობრივს, ეს უკანასკნელი ერთობას სულიერს—ფიქრთა, გრძნობათა და მისწრაფებათა.

არ არის დღეს ეგ ერთობა? უნდა შევქნათ! იწყება და ისახება? ხელი უნდა შევუწყოთ მის განვითარებას! მომავალმა უნდა გაგვინათოს დღევანდელი გზა, რომელსაც უნდა მივყავდეთ წინ და არა უკან! ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს იმან, რაც არის დღეს.

როდესაც ერები ერთად ცხოვრობენ და ეხლა იწყებენ კულტურულ ცხოვრებას, მათთვის ძნელია საერთო ცხოვრების, თანხმობის, ურთიერთის უფლებების დაცვის პირობების შემუშავება. ბევრი დაკვირვებაა ამისთვის საჭირო, მეტი გამოცდილება, მეტი შეგნება. ჩვენ და სომხები ამგვარ მდგომარეობაში ვიმყოფებით დღეს. ჩვენში ზოგიერთები უარჰყოფენ ჩვენ და სომხებ შორის უთანხმოებას საზოგადოთ და კერძოთ ტფილისის საბჭოში, რადგან მათის **ნიცევით** არ არსებობს ეროვნული სხვა-და-სხვაობა და უთანხმოება...

მაგრამ ჩვენთვის ამ უთანხმოების იქით არსებობს თანხმობაც, დღევანდელის დღის იქით ხვალინდელი დღე!

უნდა ვიფიქროთ ამ ხვალინდელის დღისათვის. ერთმანეთის გაცნობა არის პირველი ნაბიჯი დაახლოვებისადმი. ჩვენ-კი ვიცნობთ ერთმანეთს? სომხები კიდევ გვიცნობენ ცოტად თუ ბევრად, ჩვენ-კი მათზე არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს. რაღაც ამაყურად და მედიდურად გვიყვარს სომხების შესახებ ლაპარაკი, თითქოს დიდის ყურადღების ღირსნი არც იყვნენ ისინი. რა იყო სომხეთის ისტორია, რა არის დღეს, ვინაა მათი მწერლები, რას სწერენ, რას ჰქადაგებენ, რა აწუხებს, რა ახარებს დღეს სომხების გულს? ვიცით ამის შესახებ რამე? ერთს სახლში ვცხოვრობთ, ერთს სუფრაზე ვსადილობთ და რომელი გინდათ, ჩვენი გაზეთი თუ ჟურნალი, აიღეთ ხელში, თუ ერთს სტრიქონსაც შეხვდებით სომხების შესახებ! სირცხვილი არ არის ეს?

რა უნდა ვსთქვათ თათრების შესახებ? სომხებს გარეგნულად მაინც ვიცნობთ, თათრების შესახებ კი არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს,—ვინ არიან, რა არიან? და ისინიც ჩვენი მეზობლები არ არიან, ისინიც ჩვენსავით კავკასიელები არ არიან? განა კავკასიის განათლება, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, მათი ინტერესიც არ არის?..

დროა, ვიფიქროთ ამაზე! დროა, გავიცნოთ, დავუახლოვდეთ ერთმანეთს!..

ნიცევა

საზღვარ-გარედ

ოსმალეთი. როგორც ვიცით, ახალგაზრდა ოსმალთა დასს კონგრესი ჰქონდა პარიზში. ამ კონგრესის შემდეგ დასი ორად გაიყო. უმრავლესობა ბევრს არას გამოელის თვით ოსმალთა რეფორმატორულ მოძრაობისაგან და მთელ თავის იმედს ამყარებს ევროპის სახელმწიფოების დახმარებაზე და ოსმალეთის საქმეში ჩარევაზე. ამ პარტიას არჩეული ჰყავს მუდმივი კომიტეტი, რომელიც პარიზში იმყოფება; კომიტეტის წევრად ორი ბერძენიც არის; სომხებმა კი უარი სთქვეს ამ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან პროგრამის ზოგიერთ მუხლებს ვერ ეთანხმებიან. პარტიის უმთავრესი ორგანო არის „ოსმანლი“, რომელიც ლონდონში გამოდის და რომლის რედაქცია პარიზში იმყოფება.

უმცირესობა უფრო ეროვნული პარტიაა; იგი წინააღმდეგია უცხოელების საქმეში ჩარევისა, რადგან დარწმუნებულია, რომ ამ ჩარევას ოსმალეთის დანაწილება მოჰყვება. რაც შეეხება ოსმალეთის ქვეშევრდომ სხვა ერების საქმეს, ეს დასი წინააღმდეგია, რომ ისინი ჩამოშორდნენ ოსმალეთს, ეროვნული პარტია ოსმალეთის ძველ სიდიადის აღდგენას ოცნებობს. რაზედ ამყარებენ ოსმალელი ნაციონალისტები სამშობლოს მომავალ აღდგენას? თუ „ტაიმს“-ს დავუჯერეთ, ნაციონალისტები წინააღმდეგი არიან ოსმალეთის ერების ავტონომიისა და ფედერაციისა. მაგრამ „ტაიმს“-ი უნდა შემცდარი იყვეს. ნაციონალისტების ორგანო „მეშვერეტ“, რომლის წერილები რამდენჯერმე გვქონდა მოყვანილი ჩვენ გაზეთში, პრინციპიალურად წინააღმდეგია ერთის ერის მეორის დამორჩილებისა, იგი ყველასთვის თავისუფლებას ითხოვს და მისი პროგრამა, რამდენადაც ეს მოყვანილ წერილებში იხატება, უფრო ფედერალისტურია, ვიდრე ცენტრალისტური.

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი რომ ვერ იცნობს დაახლოვებით ახალგაზრდა ოსმალთა დასის მდგომარეობას სხვათა შორის იქიდანაც სჩანს, რომ ხსენებულ უმრავლესობის კომიტეტის წევრთა შორის ნახსენები ჰყავს ისმაილ-ქიამილ ბეიც. ნამდვილად კი ქემალ ბეი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უფრო ნაციონალისტია.

ნაციონალისტები შეუდგნენ პრაქტიკულ მოქმედებას—საფრანგეთიდან და ინგლისიდან მოქმედება გადაიტანეს ბოლგარიაში და სერბიაში, სადაც ბევრი ოსმალელი და სხვა მაჰმადიანი სცხოვრობს. ეხლახან ბოლგარიაში მისულა ხსენებული ქიამილ ბეი და შესდგომია ქადაგებას ადგილობრივ მაჰმადიანთა შორის. რამდენიმე კრება მოუხდენია და ბევრი სიტყვა უთქვამს ოსმალეთის ეხლანდელ მთავრობის წინააღმდეგ. ქ. ბერკოვეცში დიდ-ძალ კრების წინ შემდეგი პროგრამა წარმოუდგენია ისმაილ ბეის: 1) უმაღლეს მთავრობის გადაყენება კონსტანტინეპოლში, 2) პოლიტიკურ უფლების წართმევა შეიხ-ულ-ისლამისათვის (უმთავრესი სასულიერო პირი), მედრესეების (ეხლანდელი სკოლა) დახურვა და სოფთიების წოდების (სასულიერო სკოლების მოსწავლენი, მომავალი სასულიერო პირები); 3) ყველა ეხლანდელი ფაშების სამსახურიდან გადაყენება; 4) სახალხო კრების შემოღება; საყოველთაო საარჩევანო უფლება ოსმალეთის ყოველ ქვეშევრდომს; 5) თავისუფლება სინიდისისა და მწერლობისა, 6) სახალხო ჯარის შექმნა; ორის წლის ვადით სამხედრო ბეგარა ყველასათვის და 7) ეკლესიების, სკოლების და სხვ. გახსნის უფლების მინიჭება ოსმალეთის ყოველ ქვეშევრდომისათვის, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ისმაილ-ქიამილ-ბეის სხვათა შორის ჰკითხეს, თუ რატომ არ სურს მას მოქმედება ბოლგარელ—მაკედონელ კომიტეტებთან ერთად და პასუხად ისა სთქვა, რომ ახალგაზდა ოსმალთა დასი არ საჭიროებს უცხოელების დახმარებას: ჩვენი მიზანიაო, უთქვამს ისმაილ-ბეის, გამოვიწვიოთ თვით ოსმალთა აჯანყება ეხლანდელ მთავრობის წინააღმდეგო.

ცხადია, ისმაილ-ბეი ნაციონალისტების ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს.

ჩინეთი. სამხრეთ-ჩინეთის რევოლუციონური მოძრაობა მეტად საფიქრებელი და საზრუნავია, როგორც ევროპიელებისათვის, ისე ჩინეთის ეხლანდელ მთავრობისათვისაც. თუ რამდენად შეშინებულა ჩინეთის მთავრობა რევოლუციონურ მოძრაობით, იქიდან სჩანს, რომ იუანშიკაიმ გამოსცა ბრძანება —აყარონ იარაღი ყველა ჩინელებს. ადმინისტრაცია ვალდებულია წაართვას ხალხს ყოველი იარაღი. თუ ამ ბრძანების შემდეგ ვისმეს უნახეს იარაღი, მას დიდი ჯარიმა მოელის.

მაგრამ მიაღწევს თუ არა ეს ბრძანება თავის მიზანს, ეს სულ სხვა კითხვაა.

✡ პეკინიდან შემდეგ მეტად სახასიათო დეპეშას იწერებიან: „ორმა ჩინელმა ქვა ესროლა იმ ეტლს, რომელშიაც იტალიის ელჩის ცოლი იჯდა. ამ დანაშაულობისათვის ორივეს თავი მოჰკვეთეს“.

რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ ჩინელსა და ევროპიელს შორის მძულვარება და მტრობა არსებობდეს. უბრალო ქვის სროლისათვის, რომელსაც არავისთვის არაფერი უვნია, ორ კაცს თავი მოსჭრეს. ასეთი უსამართლობაა ევროპიელების მთელი პოლიტიკა ჩინეთში და, როგორ შეიძლება, ჩინელი ამას შეურიგდეს, როგორ შეიძლება იგი შურის ძიებისათვის არ მოემზადოს!

სამხრეთ-აფრიკა. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სიტყვით, კიტჩენერს შემდეგი პირობები უნდა წარედგინოს ბურების სარდლებისათვის: 1) დამოუკიდებელი პარლამენტი ან ჰომრული; 2) აჯანყებულების პატიება ედუარდ VII-ის გვირგვინის კურთხევის დღეს; 3) სამი ბური (ორი ტრანსვაალის, ერთი ორანჟეს რესპუბლიკის) იქნება წევრი სამხრეთ-აფრიკის სახალშენო საბჭოსი 4) 10,000 გირვანქა სტერლინგის სესხი დანგრეულ ფერმების აღსადგენად, 5) ბურების ქონების კონფისკაციის მოსპობა; 6) დატყვევებულ ბურების დაბრუნება.

თუ ეს მართალია, ზავის ჩამოგდების იმედს საფუძველი ექნება; მაგრამ ლონდონში არ სჯერათ, რომ კიტჩენერს ასეთი პირობები წარედგინოს. სოლსბერის უკანასკნელი სიტყვაც ისეთია, რომ სკეპტიკების აზრი მართალი უნდა იყოს: სულ ტყუილიაო, უთქვამს სოლსბერის, ვითომ ჩვენ ბურებს ბევრსა ვუთმობდეთო.

და თუ ბევრი არ დაუთმეს, ისე ბურები ზავზე არ ჰსთანხმდებიან: თუ დამოუკიდებლობა და აჯანყებულ აფრიკანდერების სრული პატიება არ იქნა, ისე ჩვენ იარაღს არ დავყრითო,—გაიძახიან მამაცი ბურები.

ახალი ამბავი

◆ დღეს მოელიან პეტერბურგიდან დედოფლის მარიამ თეოდორის ასულის დაწესებულებათა უწყების მთავარ კონტროლერს, რომელმაც უნდა დაათვალიეროს და განიხილოს ამ **უწყების დაწესებულებათა საქმეები** და მათი წარმოება კავკასიაში.

◆ ყველა უბნის **საარჩევნო სიები** შემოწმებული და დაბეჭდილებია და დღეს ტფილისის გუბერნატორს წარუდგენენ განსახილველად, რის შემდეგაც იმათ გამოაქვეყნებენ.

◆ **გორის მაზრის თავად-აზნაურთა** საგანგებო კრება მოხდება ქ. გორში კვირას 5 მაისს. განსახილველი საგნებია: 1) როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული; 2) გორის საქალებო პროგიმნაზიისათვის დახმარების აღმოჩენა; 3) საძოვრებით სარგებლობის წესების შემუშავების საქმე და 4) როდის ინიშნებოდეს სათავად-აზნაურო საგუბერნიო კრება.

◆ ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში ქრონიკერმა, ცოტა არ იყოს, სინამდვილით არ გადმოგვცა **„ძმ. წოვიანოვების და კამპ.“ საბანკო კანტორის საქმე**. საქმე ნამდვილად ასე ყოფილა: 12 თებერვალს 1902 წელს „წოვიანოვების და კამპ.“ სავაჭრო სახლის მოვალეებმა წარმოადგინეს ორი ბალანსი ხსენებულ სავაჭრო სახლის საქმეების მდგომარეობაზე და განუცხადეს ბაქოს საბირჟო კომიტეტს, ადმინისტრაცია დაეწესებინა სავაჭრო სახლის საქმეებისათვის. საბირჟო კომიტეტმა ეს თხოვნა პატივსადებად სცნო და და ამოირჩია ადგილობრივ საპატიო ვაჭართაგან ექვსი კაცი, რომელთაც ერთის ხმით განაცხადეს, რომ ადმინისტრაცია უნდა დაენიშნოს სავაჭრო სახლის საქმეებს. ამის გამო საბირჟო კომიტეტმა საქმის მთელი წარმოება წარადგინა ბაქოს ოლქის სასამართლოში კანონიერ განკარგულებისათვის. მოვალეებისგან წარმოდგენილის ორი ბალანსიდან სჩანს, რომ პირველ ნოემბერს 1901 წელს სავაჭრო სახლის აქტივი სჭარბობდა პასივს—392,529 მანეთით და 96 კაპ., ხოლო პირველ თებერვალს 1902 წელს აქტივი კვალად სჭარბობდა პასივს 430,845 მანეთით და 22 კაპ. ამის გამო ბაქოს ოლქის სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა საბირჟო კომიტეტის თხოვნა ადმინისტრაციის დანიშნვის შესახებ სავაჭრო სახლის საქმეებზე. ოლქის სასამართლომ იმითი იხელმძღვანელა, რომ ადმინისტრაციის დანიშნვისათვის პასივი უნდა სჭარბობდეს აქტივს, აქ კი, პირ-იქით, აქტივი სჭარბობს პასივსო. ეს საქმე მოვალეების რწმუნებულებმა ტფილისის სამოსამართლო პალატაში გადმოიტანეს.

სამოსამართლო პალატამ დაადგინა: ბაქოს ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება გაუქმდეს და საბირჟო კომიტეტის წარდგენა ადმინისტრაციის დაწესებაზე სავაჭრო სახლის საქმეებისათვის მხედველობაში მიიღოს კანონიერის განკარგულებისათვის.

◆ კვირას, 5 მაისს, ტფ. საბჭოს დარბაზში მოხდება კრება იმ საზოგადოებისა, რომელსაც საგნად აქვს **შემწეობა აღმოუჩინოს** საქალაქო სასწავლებელთა ღარიბ მოსწავლეთ. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

◆ ხელოსანთა მოურავის არჩევნები, ტფ. გუბერნატორის განკარგულებით, ამ დღეებში უნდა მოხდეს.

◆ ხვალ, 3 მაისს, **ა. ფირალოვი** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაზე წაიკითხავს მოხსენებას რუსეთის შინა-მრეწველობის მოღვაწეთა უკანასკნელ კრების შესახებ.

◆ ამ დღეებში კავკასიის საბრეშუმო სადგურში გაიხსნა პრაქტიკული **კურსები მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობისა**. ჯერ ჩაიწერა მხოლოდ 10 კაცი. კურსები უფასოა.

◆ კავკასიის საბრეშუმო სადგურის ასისტენტი ვ. პ. ივანოვი და უფროსი მეფუტკრე ბ. სოლოვიოვი, მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით, მიდიან ამ დღეებში განჯას, სადაც წაიკითხავენ **საჯარო ლექციებს** მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის შესახებ. იქვე გაიმართება პრაქტიკული საზაფხულო კურსები განჯის გუბერნიის სამინისტრო სასწავლებლების მასწავლებელთათვის.

◆ ქალაქის თავის მოადგილემ მიმართა თხოვნით ტფილისის გუბერნატორს, სახელმწიფო ცხენების ქარხნის გამგებელს და სხვა პირთ, მონაწილეობა მიიღონ **ცხენების გამოფენის გახსნაში**, რომელიც ხუთ მაისს მოხდება

◆ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა სხდომაზე სამს მაისს ამ საზოგადოების საბჭოს შეაქვს მოხსენება, იშუამდგომლონ უმაღლეს მთავრობის წინაშე, **ჯილდოები დაურიგდეს** იმ პირთ, რომელთაც მთავარ საექსპერტო კომისიამ მიუსაჯა წარსულს გამოფენაზე.

◆ ტფილისის სასოფლო მეურნეობის **ფიზიკური** გამოკვლევის პროგრამა შემუშავებულია და წარედგინება განსაკუთრებულს კომისიას განსახილველად.

◆ 1896 წელს 18 ნოემბერს საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულომ დაადგინა, რომ ქალაქს უნდა მიეცა **ვადაზე მეტ ნამსახურ დათხოვნილ** ჯარის კაცთა და იმათ სახლობისათვის 16,000 მან. ქალაქმა ეს დადგენილება შეასრულა. ეხლა სენატს განუხილავს ეს საქმე და უკანონოდ უცვნია, რადგანაც ქალაქი ვალდებული არ იყო, ეს ფული გადაეხადა. ამგვარად ქალაქს უნდა დაუბრუნდეს თავისი 16,000 მან.

◆ ტფილისის ქალაქის **მილის წყლის ხარჯი** ამ მიმდინარე წელში გამოანგარიშებულია 39,820 მან., ავჭალაში ამავე მილის წყლის ხარჯი 22,292 მ., ქალაქში წყლის შესანახი აუზების მოვლა დაჯდება 19,275 მან., მტკვრის კალაპოტის გასუფთავება ავჭალაში, სადაც მილის წყლის სათავეა, დაჯდება 10,295 მან.

◆ გუშინ, 1-ლ მაისს **საქალაქო ლომბარდის** გამგემ გადასცა ტფილისის ქალაქის გამგეობას 1 თებერვლის მომხდარ ტირაჟის გასაუქმებლად 2100 მან. და 4947 მან. წასულ 1901 წ. 1 ნოემბრიდგან ამა 1902 წლის 1 იანვრამდე კუთვნილ გარდასახადის გასასტუმრებლად სულ 7047 მ. ლომბარდზე ამას გარდა ვალი არის სულ 197,900 მან.

◆ 30 აპრილს სხდომა იყო იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს **ცეცხლის მქრობელი რაზმისთვის** შენობის აგება. კომისიას წარმოუდგინეს ქალაქის ტეხნიკოსისაგან შედგენილი ესკიზი ცეცხლის მქრობელ რაზმის სახლისა; ესკიზი დაამტკიცეს, და კომისიამ საჭიროდ დაინახა, ეხლავე შეუდგნენ სახლის შენებას. ამისთვის უნდა დაანგრიონ ძველი შენობა, რის გამოც ცეცხლის მქრობელი რაზმის სადგომად უნდა ააშენონ დროებითი ყაზარმები. კომისიამ ამასთანავე დაადგინა, ახალი სახლის აშენებაზე მოიხმაროს რაზმის ჯარის კაცები დღეში სამ აბაზად.

◆ რადგანაც ადიდებულ ტკვარს ბევრი ხეები და კუნძები მოაქვს და იმათ **დასაჭერად ბევრი ეტანება**, ტფილისის პოლიცმეისტერმა, უბედურების ასაცდენად, სასტიკად დაავალა პოლიციის მოხელეთ, თვალ ყური ადევნონ, რომ არავინ არ გაბედოს წყლიდგან წამოღებული ხეების დაჭერა.

ქუთაისის ახალი ამბები

〜 26,27 და 28 აპრილს ქუთაისში იყო კრება ახლად დაარსებულ „შ. ვა-ქვის ამხანაგობის“ წარმომადგენელთა. მრავალ საგნებს შორის, რომლებიც კრებამ განიხილა, გადასწყვიტეს მოახდინონ მაისის დამლევს საზოგადო კრება ამხანაგობის წევრთა ჭიათურაში. საზოგადო კრებამ უნდა აირჩიოს სამი წევრი გამგეობისა. ამათ-

ში, წესდების თანახმად, ერთი გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ უნდა იყოს და ერთიც გამგე-დირექტორად.

ამ ჟამად „შავი-ქვის ამხანაგობის“ გამგეობის მოვალეობას ასრულებს ამხანაგობის წარმომადგენელი გ. ფ. ზდანოვიჩი.

ამ დღეებში ფოთში დაიტვირთა ამხანაგობის „საიუზის“ შავი-ქვით ერთი გემი („საიუზიც“ ეხლა წევრია „შავი ქვის ამხანაგობისა“). მართალია, ეს ქვა უწინდელი გაუდუღია, მაგრამ ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, გაამხნევა შავი-ქვის მრეწველნი. ამ გემს მალე მეორე და მესამეც მოჰყვებაო, ამბობენ. ამხანაგობის საერთო საწყობზე (პლატფორმებზე) ჭიათურაში ამ ჟამად ისეთი ქვა აწყვია, რომლის ბადალიც, როგორც მრავალნი ამტკიცებენ, კარგა ხანია, არავის გაუგზავნია. ამბობენ, რომ წმინდა მარგანეცი ამ ქვისა 52-54% იქმნებაო.

გამგეობა ამხანაგობისა შეუდგა პლატფორმების გამართვასა და შესყიდვას, ზედ დაწყობილ ქვიანთ. ეს გარემოებაც მეტად გამამხნევებელია ამხანაგობის თითოეულ წევრისათვის.

გარდა ამისა ამხანაგობას შეეძლება მიეცა, ბერლინის „მანგან-სინდიკატ“-ის დახმარებით, შეიძინოს შავი-ქვიანი ადგილები. ეს ორი გარემოება, იმედია, ძალ-ღონეს მოუკრებს ამხანაგობას და ხელში მისცემს იარაღს ჩარჩებთან საბრძოლველად.

∽ 22 და 23 აპრილს ქუთაისის ყველა სასწავლებელმა, რუსეთის მწერლის ჟუკოვსკის გარდაცვალების 50 წლის შესრულების გამო, პანაშვიდები გადაიხადეს და პოეტ-მწერლის სახელიც მოიხსენიეს.

∽ კურინსკის მე-79 ქვეითა პოლკისპოლკოვნიკი დუმბაძე დაინიშნა ხოჯენტის პოლკის სარეზერვო ბატალიონის უფროსად. („კავკაზ“).

∽ 26 აპრილს განთიადისას ცეცხლი გაუჩნდა სოლომონ ედიგაროვის სახლს ჯაჭვის ხიდთან. სახლი სამ-სართულიანია: ქვეითა სართულში დუქნები იყო მოთავსებული—გ. მახათაძისა და ბ. ჯინჭარაძისა; შუა სართულში სახლის პატრონი ცხოვრობდა და ამის ზემოთ—მდგმურები იყვნენ. ცეცხლი გაჩენილა ჯინჭარაძის დუქანში: როგორც ამბობენ, ანთებული ლამპა ყოფილა აქ და უნდა გამსკდარიყოს. არც ერთს ამ სახლში მყოფს არაფერი გადაურჩენია, ყველაფერი ცეცხლმა იმსხვერპლა.

ედიგაროვის სახლიდან ცეცხლი ქუჩის მეორე ნაპირს გადავიდა და გიორგობიანის სახლს მოედო, სადაც ქვედა სართულში სასმელების ვაჭრობა ჰქონდა, ზევით-კი თვითონ სცხოვრობდა. ეს სახლიც სულ დაიწვა, ვერაფერი ვერ გადაირჩინა სახლიდან, ასე რომ სულ ცარიელ—ტარიელი დარჩა. ამ სახლის ქვედა სართულში ვინმე რაჭველი რაზმაძა მდგარა და, კაცმა არ იცის, გამოასწრო ცეცხლს, თუ შიგ დარჩა და ცეცხლის მსხვერპლად შეიქნა. ხალხი ახვევია და ნანგრევებს ჰქექავს—ეძებენ.

ამ გიორგობიანმა 22 აპრილს შვილი დაასაფლავა. „ცნ. ფურც“-ში მოხსენებული იყო, რომ 22 აპრილს გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლე ალექსანდრე გიორგობიანი მიაბარეს მიწასო. ეს ამ გიორგობიანის შვილი იყო.. ერთი კვირის განმავლობაში ორი უბედურება შეემთხვა ამ კაცს...

ამით არ გათავებულა ცეცხლი. გიორგობიანის სახლიდან სოხაძის სახლს მოედო, მაგრამ.. სწორედ ამ დროს მოვიდა ცეცხლის მქრობელი „რაზმი“. კარგი რომ ცეცხლ—მოდებული სახლები რიონის პირად იყო და წყალს მალ-მალ აწოდებდნენ და ცეცხლი.. მალე ჩააქრეს.

როგორც გვითხრეს, ამ სახლებში მარტო სოხაძის სახლი ყოფილა დაზღვეული. ზარალი 40 ათას მანეთამდეაო. ამბობენ, მახათაძეს დუქანში ნაღდი ფული დარჩენილა, ვერ მოუსწრია თურმე გამოტანა...

რუსეთის ქრონიკა

∝ მიწად მოქმედების დეპარტამენტმა შეიმუშავა პროექტი განსაკუთრებულის სასოფლო სამეურნეო საკომისიო ბიუროსი, რომლის საგანი იქნება, სასარგებლო სამეურნეო ცნობების მიწოდებითა, საუკეთესო სამეურნეო იარაღების გავრცელებით, კარგის თესლის მიყიდვით დახმარება აღმოუჩინოს სოფლის მეურნეთ; ამასთანავე შუამავლად იქნება მწარმოებლისა და მომხმარებლის შუა, რათა ამ გზით ებრძოლოს ჩარჩობას. ბიუროს საკუთარი გაზეთიც უნდა ექნეს.

∝ პეტერბურგში არსდება მოგზაურთა საზოგადოება. საზოგადოების საგანი იქნება—წელიწადში ერთხელ, ზაფხულობით, ამოგზაუროს თავისი წევრები რუსეთის ყველა ადგილების დასათვალიერებლადა და გასაცნობლად.

∝ ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილ ანგარიშიდან სჩანს, რომ 1902 წლის სამის თვის განმავლობაში სულ რუსეთში 50 მილიონი ვედრა 40 გრადუსიანი არაყი გაყიდულა.

∝ იუსტიციის სამინისტროს ანგარიშიდან სჩანს, რომ 1901 წლის განმავლობაში რუსეთის სასამართლო დაწესებულებაში მსახურებდა 8095 მოხელე; ამათგან: 167—სენატის საკასაციო და სასამართლო დეპარტამენტებში, 539—სამოსამართლო პალატებში და 7389 საოლქო სასამართლოებში. კერძოთ მოსამართლეების რიცხვი ყოფილა—1886; ამათგან საკასაციო და სასამართლო დეპარტამენტების სენატორი—67, სამოსამართლო პალატების უფროსი თავმჯდომარე—13, საოლქო სასამართლოების თავმჯდომარე—104; ბრალმდებელი და მათი ამხანაგი ყოფილა 890; გამომძიებელი—1496; საქალაქო მოსამართლე—467. გარდა ამისა ყოფილა 1225 კანდიდატი სასამართლო თანამდებობაზე, ამათგან მხოლოდ 171-ს ჰქონია ჯამაგირი. მომრიგებელი მოსამართლე ყოფილა შიდა რუსეთში 181 (ამორჩევით), დანარჩენ ადგილას—438 (მთავრობის დანიშნვით).

ამიერ-კავკასიაში ყოფილა მომრიგებელი მოსამართლე 56 და 131 მათი თანაშემწე; ციმბირში და აზიის დანარჩენ ადგილებში—288.

იმავე წელს იუსტიციის დაწესებულებათა ბიუჯეტი ყოფილა 46.227.505 მანათი.

პრესსა

რუსეთის თავად-აზნაურობის ქირისუფალი „მოსკოვსკია ვედომოსტი“ მეტად გულ-მწუხარეა იმ

> „უეჭველ ფაქტის გამო, რომ მიწის საკუთრება რაღაც ბედის წერით ხელიდან ეცლება რუსეთის ერთად-ერთ მეურნეებს (გლეხები აღარ ყოფილან მეურნეები!)—მიწად მფლობელ თავად-აზნაურებს, და რომ ეს ხელიდან გამოცლა მიწისა უფრო მეტის სიჩქარით სწარმოებს ეხლა, ვიდრე 1885 წლამდე, როცა დაარსდა ის დაწესებულება, (სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკი), რომელსაც მთავრობამ დაავალა ხელი შეეწყო თავად-აზნაურთა გვარებისათვის მამულ-დედულის შერჩენის საქმეში“.

გაზეთი აღიარებს, რომ თავად-აზნაურობის მიწად მფლობელობა შეირყა ისტორიულ მსვლელობის მიზეზებით, მაგრამ თანაც გულ-უბრყვილოდ ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც მთავრობა შეუდგა „განათლებულ წოდების“ შერყეულ მდგომარეობის გამაგრებას ზემოხსენებუ „სამწუხარო მოვლენას“ (მამულების არა თავად-აზნაურთა ხელში სიჩქარით გადასვლას) ადგილი არ უნდა ჰქონდესო, და თუ ადგილი აქვს იმიტომ, რომ ჰზედავენ (ვინ?) არ იხელმძღვანელონ უმაღლესად გამოთქმულ სურვილითაო. სხვათა შორის, გაზეთი ხედავს უმაღლეს ნების დარღვევას იმ ფაქტში, რომ სახელმწიფო ბანკი (horribile dictu) სარგებლის დროზე შემოუტანლობისათვის გაზეთში აცხადებს არა პირიან მსესხებელის სახელს და გვარს და ამ გამოცხადებისათვის კანონით გადაწყვეტილ ჯარიმას ახდევინებს მას.

მეორე დიდი ცოდვა ეხლანდელ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა ის ყოფილა, რომ მას კანონი ნებას აძლევს მიჰყიდოს ბანკზე დარჩენილი მამულები არა-თავად-აზნაურებს, სხვათა-შორის საგლეხო სახელმწიფო ბანკს მამულების პატარ-პატარა ნაჭრებად დაყოფით. ასეთ უფლებას „მოსკოვსკია ვედომოსტი“ რევოლიუციონურ ზომას ეძახის!

> „რასაკვირველია სასიამოვნოა, როცა გლეხთა შორის ვრცელდება მომჭირნეობა, შრომის მოყვარეობა და სიფხიზლე, საზოგადოთ ისეთი თვისებები, რომელნიც ხელს უწყობენ მიწის საყიდლად საჭირო ფულის შეგროვებას, მაგრამ თვალს ვერ ავარიდებთ იმ საშიშროებას, რომელიც მოელის თავად-აზნაურობას, როცა ბანკი გატაცებულია თავის მოქმედების ამ მხრითაო“.

ამ პრაქტიკულ ზომას მიწად-მფლობელობის „რევოლიუციონიზაციისაკენ“ მივყავართო, ჰგოდებს გაზეთი.

ერთის სიტყვით, გაზეთის აზრი ის არის, რომ თუ გაზეთების პუბლიკაციისათვის ფულს არ გადაახდევინებენ თავად-აზნაურობას, თუ არა თავად-აზნაურებს აუკრძალავენ მამულების შეძენას, რუსეთის თავად-აზნაურობა ისევ გამაგრდება წელში. სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკი ისედაც საქველ-მოქმედო დაწესებულებაა და რომ ხსენებულ გაზეთის აზრი განხორციელდეს, მაშინ ხომ იგი დანარჩენ ხალხის სისხლის მწოველი გახდება. მაგრამ თავად-აზნაურობას, როგორც წოდებას, მაინც ვერაფერი იხსნის ისტორიულ მსვლელობისაგან“.

„მოსკოვსკია ვედომოსტი“-ს ყოვლად უცნაური აზრი აღვნიშნეთ სხვათა შორის იმისთვისაც, რომ ჩვენში სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის მოქმედება არ არის ისე სრული, როგორც შიდა გუბერნიებში; აქ მას არა აქვს უფლება მიჰყიდოს ვალში დარჩენილი მამულები ჩვენ გლეხებს და ამით იგი მოკლებულია ერთ-ერთ რაციონალურ მხარეს, რომელიც მას აქვს.

დაბა-სოფლები

ჭიათურა. 28 აპრილს, ღამის თორმეტ საათზე, გაუჩნდა ცეცხლი დვინის მოვაჭრის ჭუმბურიძის შენობას; მისგან გადაედვა მეზობლებსაც, დაიწვა ოთხი დუქანი თავისის ოთახებით ზედა-სართულში. ზარალი აღემატება 5,000 მანეთს. კიდევ კარგი, რომ არც ერთის მხრით ქარი არ ჰქროდა, თორემ შენი მტერია ჭიათურლებს უბედური დღე გაუთენდებოდათ. ჭიათურლებს არა ერთხელ მოსვლიათ ამისთანა მოულოდნელი ზარალი.

სწორეთ გასაკვირია ჭიათურელ ვაჭრების საქმე! ამოდენა ფულებს ატრიალებს და ერთი ცეცხლის მქრობელი მანქანა ვერ შეუძენიათ. იმედია, შემდეგში მაინც მიაქცევენ ყურადღებას ამ თავიანთ უპირველეს ნაკლს. თორემ ყოველთვის კოკა წყალს არ მოიტანს და, როდესაც იქნება, მთლად გადაიწვება ჩვენი ცოდვილი ჭიათურა.

წერილი ფოთიდან

(საქველ-მოქმედო წარმოდგენა.—ჟუკოვსკის საღამო)

კვირას, 28 აპრილს, ფოთის კლუბის დარბაზში ქ-ნ პარასკევა ს. ქავთარაძის თაოსნობით ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, გამართული იყო ქართული წარმოდგენა, რომელსაც საზოგადოება იმდენი არ დასწრებია, როგორც მოსალოდნელი იყო. მაგრამ ეს გარემოება იმას არ მიეწერება, რომ ვითომ ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი ნაწილი ასეთ საქველ-მოქმედო მიზნით გამართულ საღამოებს გულ-გრილად უყურებდეს,—არა, ეს იმის მიზეზია, რომ ამ საღამოს გამართვის შესახებ ნებართვის აღება, ვისგანაც ჯერ იყო, მეტად შეფერხდა და დაგვიანდა, რის გამო ქალაქში აფიშები გვიან შეიქნა გაკრული და ბევრმა არც კი იცოდა საღამოს გამართვის ამბავი. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: აფიშები დუქნებშიაც დარიგდა, მაგრამ, არ ვიცი რა მიზეზისა გამო, აქაური ჩვენებური ვაჭრები ქართულ წარმოდგენებზე მეტად მწყრალად არიან და ისე არ ეტანებიან, როგორც სხვა დაბა-ქალაქის მოვაჭრენი.

რადგან საღამოს გასამართავად მხიარული პიესები იყო არჩეული, ამიტომ საზოგადოებამ ბევრი იცინა და ყველა ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში. პირველად სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს „ბიძასთან გამოხუმრება“, თ. რ. ერისთავისა. ამ პიესაში ნატოს როლის მოთამაშემ ქ-ნ ელ. კლდიაშვილმა თავისის მოხდენილის თამაშით თავი ისახელა და საზოგადოებაც დაატკბო. ამის შემდეგ ითამაშეს „სუსტი მხარე“, ვოდევ. ერთ მოქმედებად, დ. მესხისა და დაბოლოს „დედისერთა“, კომედია-ხუმრობა ერთ მოქმედებად, გ. გუნიასი. ქ-ნ. ელ. კლდიაშვილის გარდა, კარგად შეასრულეს თავიანთი როლები ქ-ნ. თ. მაღანიამ და ქ-ნ. ელ. ქავთარაძემ. ქალების მოხდენილ თამაშს ხელს უწყობდა და საზოგადოებას მეტად ამხიარულებდა ზოგიერთ კაცების ლამაზი თამაში, რის გამო წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა.

წარმოდგენის დროს რუსულად კარგად წაიკითხა სცენა დოსტოევსკის რომანიდან „დანაშაული და სასჯელი“ ბ-მა ვ. გოლოვინმა. წარმოდგენის შემდეგ დანიშნული იყო ცეკვა, მაგრამ წარმოდგენა ნაშუაღამევის 2 საათამდის გაგრძელდა და ამისათვის საზოგადოება დაიშალა.

საღამოს შემოსავალი იყო სულ 160 მანეთამდის. ხარჯის გარდა „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ დარჩება 90 მან. ამისათვის დიდი მადლობის ღირსია, როგორც მოთავე ამ საღამოს გამართვისა, ისე ყველა ის პირნი, რომელნიც ხელს უწყობდნენ ამ კეთილს და ყველა ქართველისათვის საყვარელს საქმეს.

29 აპრილს, დედათა სკოლის დარბაზში, მასწავლებელ ქალების განკარგულებით, გამართული იყო სალიტერატურო საღამო, რუსეთის გამოჩენილ პოეტის ჟუკოვსკის სახელის პატივსაცემლად. საღამოზე ბარათებით მიპატიჟებულნი იყვნენ ქალაქის საპატიო მკვიდრნი.

ი. იანეთელი

წერილი ზემო სვანეთიდან

(პასუხი მკვიდრს)

პატივცემულ „ცნობის ფურცლის“ მე-1776 ნომერში მოთავსებულია „წერილი სვანეთიდან“, რომელსაც ხელს აწერს „მკვიდრი“. ის, სხვათა შორის, იუწყება შემდეგს: „ქრისტ. აღმად. საზოგადოებას“ შვიდი სკოლა აქვს დაარსებული სვანეთშიო; ერთხან კარგად მიდიოდა მათი საქმე, მაგრამ ამ ჟამად თანდა-თან უკან იწევსო; 3 სკოლა დაკეტილი არის, რადგან მასწავლებელი არა ჰყავთო; დანარჩენი ოთხი მასწავლებელნიც არ აპირობენ მომავალ სამოსწავლო წელში დაბრუნებასო და სხვა.

დიდად ვწუხვარ, რომ სვანეთის გულშემატკივარ მკვიდრს რიგიანად ვერ გაუგია თავის სამკვიდრო ქვეყნის ამბავი: მისი ცნობები ზემოხსენებულის სკოლების შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

ს. მესტიის სკოლის მასწავლებელი მ. მოსერიძე ეკურთხა მღვდლად და გადაყვანილ იქმნა ს. კალაში, მაგრამ ამითი სკოლა არ დაკეტილა, რადგან იქვე მცხოვრები ბლაღოჩინი ბ. ნიჟარაძე გულმოდგინედ ეკიდება ამ სკოლის საქმეს და მხნედ ასრულებს საჭირო მოვალეობას. აგრეთვე ს. იფარის სკოლის მასწავლებელი გ. ტვილდიანი ეკურთხა მღვდლად და გადმოყვანილ იქმნა ს. ბეჩოში, მაგრამ არც ეს სკოლა დაკეტილა, რადგან ადგილობრივი მღვდელი ფოფხაძე ასრულებს გადაყვანილის მოვალეობას.

რაც შეეხება ნაცვალ მასწავლებელთა მოწვევას, არ მოხერხდა, რადგან ცუდის ზამთრისა და სიგვიანისა გამო ვერ გაჰბედავდნენ სვანეთში შემოსვლას. ხოლო თამამად განვიმეორებ, რომ რა ზომამდისაც „მკვიდრმა“ მისი აზრით უკან დასწია ზემოხსენებულ უწყების სკოლათა საქმე, იმ ზომამდის, ჩემის აზრით, წინ მიდის მათი საქმე და სარგებლობა მოაქვს ხალხისათვის. რაც შეეხება იმ მესამე სკოლას, რომელსაც დაკეტილად აღიარებს ბ. „მკვიდრი“, ჩოლურის სკოლაა, რომელიც, როგორც უკვე იციან მკითხველებმა, უცაბედად დაიწვა. მაგრამ არც ამ უზომო დაბრკოლებამ დასცა მასწავლებელი დ. ჩხაიძე: მან განაგრძო სწავლა ჩოლურის სასოფლო სასამართლოს შენობაში.

ნამდვილი გულ-შემატკივარნი და მოღვაწენი სვანთა კეთილდღეობისათვის დიდად მოხარულნი არიან ამ სკოლათა დაარსების გამო, რადგან ნათლად ჰხედავენ, რომ თვალსაჩინო სარგებლობა მოაქვსთ. დღითი-დღე იღვიძებს სწავლის სურვილი ისეთ ყრუ ხალხში, როგორიც არიან სვანები.

რასაკვირველია, სვანეთს მე არ შევადარებ იმ მხარეებს, სადაც დიდი ხანია ცდილობენ სწავლის გაძლიერებას, მაგრამ, შედარებით იმ სკოლებთან, რომელნიც არსებობენ სვანეთში, თამამად შემიძლია აღვიარო, რომ „ქრისტ. აღმად. საზოგადოების“ სკოლები ბევრად უფრო მაღლა სდგანან, როგორც ხალხის თანაგრძნობით, აგრეთვე სარგებლობის რაოდენობა-ღირსებით. რაც შეეხება „მკვიდრის“ ლაღადს, რომ „დანარჩენი ოთხი მასწავლებელნიც არ აპირობენ მომავალ სამოსწავლო წელში დაბრუნებას“-ო, ამაზე პასუხის მიცემაც მეტ ბარგად მიმაჩნია, რადგან მასწავლებელნი არა თუ მარტო სვანეთისა, არამედ ყოველ მხარისანი ერთის კუთხიდან მეორეში გადადიან ანუ გადაჰყავთ და, მგონია, ამაში უჩვეულო და გასაკვირი არა არის-რა. ხოლო თუ იმ აზრით იუწყება ბ. „მკვიდრი“ მასწავლებელთა გაქცევას, რომ ისინი ვერავითარს თანაგრძნობას ვერ ჰპოულობენ მკვიდრთაგან და უნაყოფოა მათი ღვაწლი, ამის შესახებ გამჯობინებ გავჩუმდე, ხოლო ვსთხოვ ზემო ხსენებულს მასწავლებლებს—რომელიმე მათგანმა გამოაშკარავოს და საქმის მდგომარეობის გამო ნამდვილი აღიაროს „ცნობის ფურცლის საშუალებით. *).

ლ. დაგდაშლან-გელან-სვანი

უცხოეთის წვრილი ამბები

უაირბათიანი მეფე. იტალიის ეხლანდელ მეფე ვიქტორ ემმანუილ მესამეს მეტი უბრალო და დაბიური ცხოვრება აქვს. იმისი ქვეშევრდომების აზრით მეფის მუყაითობამ და გაფთხილებამ, რომე-

---

*) ავტორის სურვილი უკვე ასრულებულია: „ცნ. ფ.“ № 1786-ში კიდეც დაიბეჭდა ერთის მასწავლებლის წერილი ამ საკითხის გამო და საქმე საკმაოდ გამოირკვა. რედ.

ლსაც წინად ყველანი აქებდენ, ეხლა სულ გადააბიჯა წრეს, მაგალითად, მთავარ მზარეულს, რომელსაც მეფე ჰუმბერტოს დროს ოცი თუმანი ჰქონდა თვეში ჯამაგირი, ეხლა მხოლოდ თორმეტი თუმანი აქვს. ეხლახან მზარეულმა ამაზე შესჩივლა დედოფალ ელენეს, რომელმაც სიცილით უპასუხა:

— ჩემს სამშობლოში სამხედრო მინისტრიც არ იღებს იმდენს, რამდენსაც თქვენ იღებთ. თუ ეგრე ბევრს მოითხოვთ, გირჩევთ, ჩერნოგორიაში თავის დღეში არ წახვიდეთ. (დედოფალი ელენე ჩერნოგორიის მთავრის ქალია).

ვიქტორ ემმანუილის მთავარ მზარეულს შეუძლიან, დღეში მხოლოდ 450 მანეთი დახარჯოს. ამ ფულით უნდა გამოჰკვებოს 450 კაცი. ცხადია, რომ დღეში მანეთად სამეფო ხორაგით ვერ გამოკვებავ კაცს.

დედა მეფისა, ქვრივი დედოფალი, თავის სასახლის ხალხზე, რომელიც 112 კაცისაგან შესდგება, დღეში ოც და ხუთ თუმანს ხარჯავს.

მეფე სხვა მხრივადაც ცდილობს თავისი ხარჯი შეამოკლოს. მაგალითად, ამ უკანასკნელს სამს წელიწადში სამეფო საჯინიბოდან გაიყიდა რვა ასი ცხენი, რომელთ სამაგიეროდაც ერთი ცხენიც არ შეუძენიათ.

* *

ირლანდიის მთავარ მსაჯულის შემთხვევა. ნაფიც მსაჯულთა სხდომაზე ამ დღეებში დაესწრო ლორდი მთავარ მსაჯული ბრიანი.

სასამართლოს კარებს მოადგა სადღესასწაულო ეკიპაჟი ლორდ მთავარ მსაჯულის წასაყვანად სახლში. ყველაფერი დიდებულად იყო მოწყობილი: მსახურები და მეეტლეები ბრწყინვალე ლივრეით მორთულნი, დრაგუნთა რაზმი და ცხენოსანი პოლიციელები და მათთან მესაყვირე.

საქმის გარჩევის დროს შემთხვევით ეკიპაჟის მეეტლეც დაიბარეს სასამართლოში მოწმედ. მეეტლემ მოიხადა ოქრომკედის ჩაფარიშით გარსშემოვლებული შლაპა, დასდო ეტლის საჯდომზე და დაუძახა იქვე მდგომ ბიჭს, ცხენები დაეჭირა და ყური ეგდო ვიდრე დაბრუნდებოდა.

საქმის გარჩევა მალე გათავდა. ლორდი ბრიანი სასამართლოდან თავის მეეტლეზე ადრე გამოვიდა. მსახურებმა საჩქაროდ კარეტის კარები გააღეს, ბატონი ჩაბძანდა; ამ დროს პატარა ბიჭიც მარდად მოახტა მეეტლის საჯდომს, დაიხურა იმისი შლაპა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გარეკა ცხენები, ძალზე დააოთხა.

მესაყვირე მიაჭენებს ცხენს და გამალებული უკრავს საყვირს, დრაგუნები ამოღებულის ხმლებით მიაქროლებენ ცხენებს, პოლიციელები უფრო ძალიან მიაჭენებენ, რადგან ხედავენ, რომ ეკიპაჟი ეწევა იმათ. არავის არ ესმის, ასე ძალიან რათ ერეკება მეეტლე ცხენებს. რის გამო იცინის ხალხი და კარეტაზე თითს იშვერს, ამასაც ვერავინ ვერ მიმხვდარა.

როდესაც ლორდი სახლში მოვიდა და კარეტიდან გამოვიდა, მაშინ მიხვდენ, რაშიაც იყო საქმე: პატარა ბიჭი, რომელმაც ასე თავპირის—მტვრევით მიიყვანა ლორდი სახლში, უცბად ეტლიდან გადმოხტა და ღრეჯით დაუწყო ლორდს საჩუქრის თხოვნა.

* *

მეფეების მადა. ჭამის მადაში პირველობა ეკუთვნის ეკატერინე მედიჩის. ერთხელ პარიზის წარმომადგენლებმა იმას საუზმე გაუმართეს. საუზმეს შეადგენდა: ფარშევანგები, ხოხბები, ბატკნები, ქათმები, კაკბები, მწყრები, ყვერულები, გოჭები, მტრედები, კურდღლები, ინდოურები. ამ საჭმელების გარდა, მიირთმევდა სხვა და სხვა თევზეულობას, მწვანილეულობას და ტკბილეულობას. ყველა ამ საჭმელებს ერთნაირის მადით მიირთმევდა ეკატერინე მედიჩი, თუმცა ზოგიერთ ნაწილს ლიუდოვიკ მეთოთხმეტე ეკატერინე მედიჩზე არა ნაკლებ სჭამდა და ამ მხრივ ყველას აჯობა ბურბონების მთელს გვარეულობაში, რომელიც განთქმული იყო ბევრის ჭამითა და გაუმაძღრობით.

ვერსალის სასახლეში მეფის სასადილოს და სამზარეულოს ემსახურებოდა ხუთასი მოსამსახურე. როცა საჭმელები მოჰქონდათ ხოლმე სამზარეულოდან სასახლეში, თან მოსდევდა მეფის გვარდია შუბებით ხელში.

საზოგადოდ ლიუდოვიკ მეთოთხმეტის საჭმელს შეადგენდა: ოთხი სხვა და სხვა წვნიანი, ხოხობი, კაკაბი, ვიჩინა, მაგრად მოხარშული კვერცხები და სალათა.

არც ლიუდოვიკ მეთექვსმეტე ჩამორჩენია ჭამაში თავის გვარეულობას.

იმისი დასჯის წინა დღეს უკანასკნელს საუზმეზე, სიკვდილის წინ, შეჭამა: ექვსი კოტლეტი, მთელი დედალი, და ოთხი მაგრად მოხარშული კვერცხი.

მხოლოდ ნაპოლეონ პირველი ძალიან ცოტას სჭამდა და ამასთანავე ძალიან ჩქარა და არ უყვარდა სუფრაზე დიდხანს ჯდომა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 აპრილი.

ტაგანროგი. შაჰმა გაიარა.

ერევანი. ალექსანდრაპოლში გაიხსნა საქალაქო საზოგადო ბანკი.

ვარშავა. პეტერბურგში გარდაცვალებულის ექიმ ნენცკის სახელობაზე არსდება სამეცნიერო საზოგადოება.

სარატოვი. საგუბერნიო საერობო გამგეობის საეკონომიო საბჭომ დაადგინა გამართოს სექტემბერში პირუტყვთა და საოჯახო ნაწარმოებთა გამოფენა.

ვაშინგტონი. სტატისტიკი ბროუნის გამოანგარიშებით პურის მოსავალი წელს იქნება 341,498,000 ბუშელი.

პეკინი. ჩინეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ორი დღის ბრძოლაში პეჩილიაში აჯანყებულები დაამარცხეს და მათი მეთაურები შეიპყრეს.

პეტერბურგი. გუშინ, 26 აპრილს, ცარსკოე სელოში წავიდნენ საოჯახო მრეწველნი—ექსპონენტები, რათა განუცხადონ გამოფენის უავგუსტოესს მფარველს მადლობა და მიართვან ხატი მფარველობისათვის. საოჯახო მრეწველნი, რიცხვით 26 კაცი, მოვიდნენ ცარსკო-სელოსკის სასახლეში: მალე გამობრძანდენ მათი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული. ქალებმა მიართვეს დედოფალს ღვთის მშობლის ხარების ხატი. ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი ემუსაიფნენ მწარმოებლებს და უსურვეს მშვიდობით დაბრუნება სამშობლოში. ამასთან დაავალეს იმათ, გარდასცენ თავიანთ სოფლის ხალხს მათ უდიდებულესობათა მოკითხვა.

„კანონთა კრებულში“ გამოქვეყნებულია ბრძანებანი: ნებართვა ქალაქ პოლტავას ერთი მილიონი მანეთის საობლიგაციო სესხისა; ნებართვა საერო განათლების მინისტრს, საზღვარ გარეთის უნივერსიტეტებში კურს-დამთავრებულ ქალებს მედიცინის დოქტორის ხარისხით ექიმის წოდების მისაღებად გამოცდის ნება მისცეს პეტერბურგის საქალებო სამედიცინო ინსტიტუტში და ყველა საექიმო ფაკულტეტებში; გამოიცეს მე-247 სერიის სახელმწიფო 4% რენტა ათი მილიონი მანეთისა.

1 მაისი

პეტერბურგი. პეტერბურგის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორი ლატიშევი დაინიშნა პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწედ.—პეტრე-პავლეს ტაძარში მოსკოვიდან მოტანილი ორი გვირგვინი, ვერცხლისა და ლითონისა, რომლებითაც 19 თებერვალს მუშებმა მეფე-განმათავისუფლებელის ძეგლი შეამკეს მოსკოვში, თანახმად ხელმწიფე-იმპერატორის სურვილისა, 24 აპრილს ეს გვირგვინები დააწყეს დაუვიწყარის მეფე-განმათავისუფლებელის საფლავზე.

ორიოლი. დღეს მამა იოანე კრონშტატელი წავიდა ელეცში ნეჟინის დრაგუნთა პოლკის ტაძრის საძირკვლის ჩაყრის გამო.

რიაზანი. სამაზრო ერობამ ოკას ნაპირზე გახსნა სასადილო და საჩაიე მუშათათვის; ჰფიქრობენ აგრეთვე ღამის თავშესაფარი და წიგნთსაცავი გახსნან.

კრონშტადტი. ყინულის მჭრელი „ერმაკი“ სამი სამხედრო გემით და ორის სავაჭროთი დაბრუნდა რეველში.

პარიზი. ლუბე მინისტრის დელკასეს, გენერალ დიუბუას, ოფიცრების და მოხელეთა თანხლებით დღეს ბრესტში წავიდა, სადაც კრეისერ „მონკალმზე“ გადავა; ესკადრას ხელმძღვანელობს ვიცე-ადმირალი რუსტანი. სენ-ლაზარეს სადგურზე შეიკრიბნენ ყველა მინისტრები, გენერლები, უმაღლესი წარმომადგენლები სახელმწიფო მოხელეთა და დიდ-ძალი ხალხი; გაისმა ძახილი: „გაუმარჯოს რუსეთს! გაუმარჯოს საფრანგეთს.“ რუსეთის საელჩოს წევრებმა ლუბე ბრესტამდის გააცილეს.

პარიზი. ლუბე წავიდა ბრესტში ცხრა საათნახევარზე, იქიდან ზღვით რუსეთში წავა.

სანტა-ლუჩია. წმ. ვიკენტის კუნძულზე, როგორც ამბობენ, ცეცხლის ფრქვევისაგან დაიღუპა 1,600 კაცი.

ლონდონი. კიტჩენერის მოხსენებით, ორი თვის განმავლობაში ინგლისელებთან ომის გამო დელარეის რაზმებს 860 კაცი დააკლდა.

პიტსბურგი. სადგურ შენადენზე კეროსინის ვაგონის აფეთქებით მოკლულია ოცი კაცი, დაჭრილია 150 სასიკვდილოდ და 50 მსუბუქად.

მოსკოვი. საკომერციო ცოდნათა გამავრცელებელმა საზოგადოებამ განაჩენი დაადგინა იშუამდგომლოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე ათიათასი თუმნის სესხის გამოტანაზე ათის წლის ვადით, უსარგებლოდ. ფული უნდა საკომერციო სასწავლებლისათვის შენობის აგებას მოხმარდეს.

როსტოვი. დილის 11 საათსა და 40 წ. სპარსეთის შაჰმა გაიარა.

— ადგილობრივ ვაჭრების მეცადინეობით საძირკველი ჩაუყარეს საკომერციო სასწავლებლის შენობას.

სმოლენსკი. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად აირჩიეს თავადი ურუსოვი.

პეტერბურგი. სათავად-აზნაურო ბანკის მომგებიან ბილეთების მე-25 ტირაჟში მოგება ერგო: ორასი ათასი მანეთისა—01567/18, შვიდი ათას ხუთას თუმნისა—02289/12, ოთხი ათას თუმნისა—11719/49, ორი ათას ხუთას თუმნისა—10679/44, ათას თუმნისა—15859/1, 15568/27, 07724/7, რვასსი თუმნისა—10664/46, 11270/16, 09342/5, 07853/28, 01655/28, ხუთას თუმნისა — 06625/45, 15830/23, 13646/21, 11668/6, 08668/49, 05334/17, 14564/37, 05732/41, ასი თუმნისა—14602/3, 01851/26, 12667/22, 08269/25, 07087/4, 14574/3, 01605/4, 00155/38, 04816/36, 00880/31, 14411/14, 10523/12, 01245/12, 13753/14, 02087/2, 04422/39, 05247/48, 02475/29, 13657/29, 01034/42.

პეტერბურგის ბირჟა 30 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,20
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,90
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	$4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}\%$
4% სახელმწიფო რენტა	$96\frac{3}{4}$ გაყიდ.
4 %-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$98\frac{3}{4}$ მყიდვ.
$4\frac{1}{2}\%$ შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	$94\frac{3}{4}$ გაყიდ.
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	362 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	303 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	
$4\frac{1}{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$89\frac{7}{8}$
$4\frac{1}{2}\%$ გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	172 „

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია ტფილისის საათი, ფრჩხილებში კი—პეტერბურგის)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (ს ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 1 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ. (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 წ. (4 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
და-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	09
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით იუწყება საყოველთაოდ საცნობელად, რომ ქალაქ ტფილისში ცხენთა იარმუკის დებულების თანახმად, რომელიც დამტკიცებულია ბ-ნ მთავარ-მართებლის მიერ, ამ წლის 5 მაისიდან იწყება

ცხენების იარმუკა.

იარმუკა გასტანს მაისის 18-მდე. ადგილი ზემორე აღნიშნულ იარმუკისათვის დანიშნულია დიდუბეში კავკასიის ცხენთა მოშენების საზოგადოების იპოდრომზედ, ანუ ყაბახზედ. (3—6.—3).

ფოთის
ქალაქის გამგეობა

ამით აცნობებს, რომ იმ პირთა სია, ვისაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსნების ოთხი წლით 1902—1906 წწ., არჩევანში თანხმათ 35 მუხლის საქალაქო დებულებისა, საყოველთაოთ გამოცხადებული იქნება ამ 1902 წლის მაისის თუთხმეტს.

საქალაქო დებულების 33 მუხლის მერვე პუნკტის ძალით, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს ვერც პირადათ და ვერც წარმომადგენლობით ის პირი, ვის მამულზე ქალაქის დასაფასებელი გადასახადისა ნახევარი წლისაზე მეტი ითვლება, ამიტომ ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველას, ვისაც სურს არ დაკარგოს მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, დააჩქაროს გადასახადის შემოტანა, სანამ საარჩევნო სია გამოცხადდებოდეს იმ წესით, რომელიც დაწესებულია საქალაქო დებულების 38 მუხლის ძალით. 9 აპრილს 1902 წ..

Дозволено цензурою Тифлисъ, 1 Маія 1902 года.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.